



შპს ივერმედი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	26
4. არამატერიალური აქტივები	27
5. სხვა აქტივები	27
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	28
7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	28
8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	28
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	29
10. სესხები.....	29
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31
12. საგარანტიო ანარიცხები	31
13. შემოსავალი რეალიზაციიდან	31
14. გაყიდვების თვითღირებულება	32
15. გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	32
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	33
17. ნეტო ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი).....	33
18. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	33
19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	34
20. ფინანსური რისკების მართვა	34
21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	41
22. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	42
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	43
24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	44
მმართველობითი ანგარიში.....	46
1. კომპანია და მისი დამფუძნებლები	46
2. შემოსავლები	47
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები	50
4. საქმიანობის განვითარების გეგმები	52
5. დასაქმებულთა რაოდენობა	54
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა	54
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი	54
8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	54
9. ფინანსური რისკები.....	54
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	54
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა.....	54
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები	54

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს “ივერმედი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ივერმედი“-ს და მისი შვილობილი საწარმოს (შემდომში ტექსტში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ 7-44 გვერდზე).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სასაქონლო მატერიალური მარაგები - ჩვენ ჯგუფის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორად დავინიშნეთ 2018 წლის 17 მაისს შესაბამისად ვერ დავესწარიტ ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა ლიმიტაციის გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარდგენილი სასაქონლო მატერიალური მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურების მეშვეობით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამ შვილობილი კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები წარდგენილია 988 და 1,073 შესაბამისი თარიღებისათვის. ამ თანხების ჩაშლა მატერიალური მარაგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში ჩაშლილი ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
მედიკამენტები და სახარჯი მასალები	951	1,039
სხვა მარაგები	37	34
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	988	1,073

ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის ჩასწორება წარდგენილი სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და 2017 წლის სამედიცინო მომსახურებაში გამოყენებული მედიკამენტების ხარჯის (5,790) წარდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთები გავლენას ახდენს პერიოდის ოპერირების შედეგების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ აუცილებელია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის ფინანსურ შედეგებზე, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 2017 წლის 1 იანვრისათვის გაუნაწილებელი მოგების ნაშთის და სასაქონლო მატერიალური მარაგების წარდგენილი მონაცემების კორექტირება. ეს გარემოება წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს რის გამოც, ჩვენ გავეცით პირობითი მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დამთავრებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია, მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესადარისი ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 2.3 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2019 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 44-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოთაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამასთან მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვსავს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყურდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2019 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 44-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2019 წლის 12 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2019 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, 44-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2019 წლის 12 ნოემბერი
თბილისი, საქართველო



შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	13,237	13,568	14,447
არამატერილური აქტივები	4	65	96	130
სხვა აქტივები	5	605	892	1,024
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,907	14,556	15,601
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	4,567	6,499	4,986
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	7	8,016	8,168	8,486
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	8	664	903	1,509
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	8,625	6,525	3,921
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,872	22,095	18,902
სულ აქტივები		35,779	36,651	34,503
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		28,184	26,868	24,159
სულ საკუთარი კაპიტალი		28,186	26,870	24,161
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	1,097	2,162	3,226
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,097	2,162	3,226
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	1,087	1,097	1,105
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	5,352	6,431	5,954
საგარანტიო ანარიცხი	12	57	57	57
გადასახდელი დივიდენდები		-	34	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,496	7,619	7,116
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		35,779	36,651	34,503

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	13,237	13,568	14,447
არამატერიალური აქტივები	4	65	96	130
სხვა აქტივები	5	605	892	1,024
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,907	14,556	15,601
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	4,567	6,499	4,986
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	7	8,016	8,168	8,486
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	8	664	903	1,509
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	8,625	6,525	3,921
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,872	22,095	18,902
სულ აქტივები		35,779	36,651	34,503
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება		28,184	26,868	24,159
სულ საკუთარი კაპიტალი		28,186	26,870	24,161
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	1,097	2,162	3,226
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,097	2,162	3,226
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	1,087	1,097	1,105
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	5,352	6,431	5,954
საგარანტიო ანარიცხი	12	57	57	57
გადასახდელი დივიდენდები		-	34	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,496	7,619	7,116
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		35,779	36,651	34,503

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი



შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018 დასრულებული წლისათვის	31.12.2017 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	37,807	38,283
გაყიდვების თვითღირებულება	14	(28,049)	(27,433)
საერთო მოგება		9,758	10,850
სხვა შემოსავალი		140	46
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	15	(627)	(477)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(6,076)	(6,192)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) (ნეტო)	17	74	(72)
სხვა მოგება/(ზარალი)		(255)	201
მიმდინარე წლის მოგება		3,014	4,356
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		3,014	4,356

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018 დასრულებული წლისათვის	31.12.2017 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	37,807	38,283
გაყიდვების თვითღირებულება	14	(28,049)	(27,433)
საერთო მოგება		9,758	10,850
სხვა შემოსავალი		140	46
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	15	(627)	(477)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(6,076)	(6,192)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) (ნეტო)	17	74	(72)
სხვა მოგება/(ზარალი)		(255)	201
მიმდინარე წლის მოგება		3,014	4,356
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		3,014	4,356

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი



შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	35,209	39,114
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(29,322)	(32,990)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,887	6,124
მიღებული პროცენტები	199	81
გადახდილი პროცენტი	(309)	(418)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	5,777	5,787
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწვდოლა	(289)	(644)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	25	11
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(264)	(633)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(1,067)	(1,067)
გადახდილი დივიდენდი	(2,337)	(1,608)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3,404)	(2,675)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	2,109	2,479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6,525	3,921
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(9)	125
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	8,625	6,525
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8,625	6,525

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	35,209	39,114
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(29,322)	(32,990)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,887	6,124
მიღებული პროცენტები	199	81
გადახდილი პროცენტი	(309)	(418)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	5,777	5,787
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა/შენიშვნა	(289)	(644)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	25	11
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(264)	(633)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან გადახდილი სესხები	(1,067)	(1,067)
გადახდილი დივიდენდი	(2,337)	(1,608)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3,404)	(2,675)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	2,109	2,479
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6,525	3,921
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(9)	125
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(9)	125
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8,625	6,525

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი



შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	2	24,159	24,161
2017 წლის სრული შემოსავალი	-	4,356	4,356
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,647)	(1,647)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2	26,868	26,870
ფასს 9- ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის ეფექტი	-	608	608
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	2	27,476	27,478
2018 წლის სრული შემოსავალი	-	3,014	3,014
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,306)	(2,306)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	2	28,184	28,186

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
 დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	2	24,159	24,161
2017 წლის სრული შემოსავალი	-	4,356	4,356
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,647)	(1,647)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2	26,868	26,870
ფასს 9- ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის ეფექტი	-	608	608
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	2	27,476	27,478
2018 წლის სრული შემოსავალი	-	3,014	3,014
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,306)	(2,306)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	2	28,184	28,186

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ივერმედი“ (კომპანია) დაარსდა 01/11/1995 წელს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 211357841). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო საგნების და სამედიცინო აპარატურის რეალიზაცია და სერვისი. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩის I შესახვევი, №2.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენენ შემდეგი ფიზიკური პირები:

პარტნიორები	წილი 31.12.2018- სთვის	წილი 31.12.2017- სთვის	წილი 01.01.2017- სთვის
ლევან ლაზარაშვილი (სკ01006000785)	30%	30%	30%
ზაზა ლაზარაშვილი (სკ01024010113)	30%	30%	30%
რევაზ ჯორბენაძე (სკ01018003577)	15%	15%	30%
იოსებ ჯორბენაძე (სკ01017010704)	15%	15%	-
დავით მეგრელიშვილი (სკ01008019371)	10%	10%	10%

ამავე თარიღებისათვის კომპანიის და ჯგუფის მაკონტროლებელ პირებს წარმოადგენენ: ლევან ლაზარაშვილი და ზაზა ლაზარაშვილი.

ჯგუფში დედა კომპანიის გარდა შედის ერთი შვილობილი კომპანია რომლის დეტალები მოცემულია მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 2.6 ში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 ფასს-ების პირველადი დანერგვა.

ეს არის ჯგუფის მიერ მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს შესაბამისად, 2018 წელს ჯგუფმა გაასაჯაროვა სპეციალური დანიშნულების ფასს-ებზე გადასვლის მიზნით მომზადებული მოსამზადებელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, გარდა იმ საკითხისა რაც მოცემულია ქვემოთ ახსნა განმარტებით შენიშვნა - 2.3 წინა პერიოდის ჩასწორება მასში მოცემული მონაცემები უცვლელად ასახულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის სახით.

2.3 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას ჯგუფმა მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2017 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. ჩასწორება დეტალები და მიზეზის მოცემულია ქვემოთ:

საბალანსო მუხლები	2017 წლის 1 იანვარი (ჩასწორებული)	უმნიშვნელო რეკლასიფი კაციები	ჩასწორება	2017 წლის 1 იანვარი (ჩასწორებამდე)
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	130	(118)	5	243
სხვა აქტივები	1,024	76	50	898
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	8,486	(1,174)	-	9,660
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	1,509	1,216	293	-
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	24,159	-	472	23,687
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	3,226	-	5	3,221
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,954	-	(6)	5,960
საგარანტიო ანარიცხი	57	-	(123)	180

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბალანსო მუხლები	2017 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებული)	უმნიშვნელო რეკლასიფი კაციები	ჩასწორება	2017 წლის 31 დეკემბერი (ჩასწორებამდე)
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	96	(78)	6	168
სხვა აქტივები	892	35	51	806
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	8,168	(654)	-	8,822
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	903	696	207	-
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	26,868	-	389	26,479
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	2,162	-	6	2,156
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6,431	-	(8)	6,440
საგარანტიო ანარიცხი	57	-	(123)	180

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2017 წელი (ჩასწორებული)	უმნიშვნელო რეკლასიფი კაციები	ჩასწორება	2017 წელი (ჩასწორებამდე)
შემოსავალი რეალიზაციიდან	38,283	(73)	67	38,289
გაყიდვების თვითღირებულება	(27,433)	(32)	(153)	(27,248)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(6,192)	296	-	(6,488)
ფინანსური შემოსავალი	(72)	-	2	(74)

ძირითადი ჩასწორებების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

- წინასწარ გაწეული ხარჯი (გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივების მუხლი) და შესაბამისი ცვლილება 2017 პერიოდის ხარჯში და გაუნაწილებელი მოგების ნაშთში 2017 წლის 1 იანვარს და 31 დეკემბერს - ჯგუფში შემავალ შვილობილ კომპანიას არ ქონდა აღიარებული წინასწარ გაწეული ხარჯის სახით იმ პაციენტებზე გაწეული ხარჯები რომელთა შემოსავალი აღიარდება შემდეგ საანგარიშო პერიოდში.
- საგარანტიო ანარიცხები - ჯგუფის დედა კომპანიამ შეასწორა საგარანტიო რეზერვის გაანგარიშების მეთოდი, რამაც გამოიწვია ცვლილება გაუნაწილებელი მოგების ნაშთში 2017 წლის 1 იანვარს და 31 დეკემბერს.
- სხვა გრძელვადიანი აქტივების ცვლილება გამოწვეულია რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების დროს გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის გასწორებით, რამაც გამოიწვია ცვლილება ასევე 2017 პერიოდის ხარჯში და გაუნაწილებელი მოგების ნაშთში 2017 წლის 1 იანვარს და 31 დეკემბერს.

- 2017 წლის შემოსავლების ცვლილება გამოწვეულია არასწორად განხორციელებული დღგ-ს ელიმინაციის გასწორებით.

ჩასწორებებში გაერთიანებული სხვა თანხები წარმოადგენს უმნიშვნელო თანხებს.

2.4 ახალი და შეცვლილი სტანდარტების დანერგვა

ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი, სტანდარტები რომლებიც დანერგილი აქვს ჯგუფს პირველად 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშერკულებებიდან და ფასს 9 - ფინანსური აქტივები. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ჩანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია წარდგენილია ბასს 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ისინი მოცემულია ქვემოთ:

კლასიფიკაცია და შეფასება.

ფასს 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს-მოდელი და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები 'ძირითადი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს' დაუფარავ ძირ თანხაზე.

ჯგუფის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში 2018 წლის 1 იანვარს და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

ფასს 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, ჯგუფი კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

გაუფასურება.

ფასს 9-ის მიღებამ შეცვალა ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს 9 ჯგუფისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფასს (IFRS) 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის, ბასს (IAS) 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

**შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

საბალანსო მუხლები	2018 წლის 1 იანვრისათვის დაკორექტირე- ბული	ფასს 9 დანერგვის ეფექტი	2017 წლის 31 დეკემბერი, ფასს 9-ის ჩასწორებებამდე
აქტივები			
სავაჭრო დებიტორები (ნეტო)	8,776	608	8,168
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	27,476	608	26,868
			გაუნაწილებელი მოგება
გაუნაწილებელი მოგება ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს			26,868
სავაჭრო მოთხოვნებთან (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები - გაუფასურების რეზერვის ცვლილება)			608
გაუნაწილებელი მოგება ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი			27,476

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, საბალანსო ღირებულებებისა და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული ფინანსური აქტივების ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

ფინანსური აქტივი	ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	ფასს 9-ის გამო ჩასწორებული	სესხები და დებიტორული დავალიანება
	2018 წლის 1 იანვრისათვის		2017 წლის 31 დეკემბრისათვის
ფინანსურ აქტივში გაერთიანებული აქტივები			
საბანკო ნაშთები	6,525	-	6,525
მოთხოვნამდე			
სავაჭრო მოთხოვნები	9,618	608	9,010
დაკავშირებულ მხარეზე	84	-	84
გაცემული სესხები			
სულ	16,227	608	15,619

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშერკულებებიდან

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 განსაზღვრავს ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. სტანდარტი არ ახდენს გავლენას ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, შედეგად, ფასს (IFRS) 15-ის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ ინტერპრეტაცია 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არა ერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ აქვს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40 - ის ცვლილება - საინვესტიციო ქონება

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის, სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის ცვლილება არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. მოცემულ ცვლილებას გავლენა არ აქვს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტი და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და არც წინასწარით დანერგილია

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულნი არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე, ასევე, ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოსა და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს, უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა, საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ, შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფს აქვს ოპერაციული იჯარებით აღებული ქონება, თუმცა, მას არ შეუფასებია, სტანდარტის ძალაში შესვლამ რა ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.5 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.6 კონსოლიდაცია

(ა) შვილობილი კომპანია

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტროლი ის მოპოვების თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი	10 მარტი 2000 წ.	3 ნოემბერი 2010 წ.	100%	კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების გაწევა.	საქართველო

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

კონტროლის მოპოვება შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრზე განისაზღვრა როგორც საწარმოთა გაერთიანება და აღრიცხულია შეძენის მეთოდით ფასს 3-ის შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შეძენის თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვის მომენტში შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებული ნეტო აქტივების სამართლიანი ღირებულების გადამეტება შესყიდვის ღირებულებაზე აღიარებულია (უარყოფითი გუდვილი) მოგების სახით.

2.7 წარსადგენი ვალუტა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2017 წლის 1 იანვარი	2.6468	2.7940
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.9 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.10 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნამდე და გაცემულ სესხებს.

2.11 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.34 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე- 7 შენიშვნა;
- ▶ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში - მე-2.4 შენიშვნა.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.12 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.13 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

2.14 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.15 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2.16 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.17 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაყირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	7, 14,15,20,25
სამედიცინო, სხვა ტექნიკური დანადგარები, ოფისის მოწყობილობები და ავეჯი	1-5,8,12
სატრანსპორტო საშუალებები	5

2.18 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

2.19 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენება მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.20 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება ფიფო მეთოდის მიხედვით საქონლისათვის და საშუალო შეწონვის მეთოდის მიხედვით მედიკამენტების, სახარჯი მასალებისა და სხვა მარაგებისათვის. თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.21 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.22 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც ჯგუფი მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.23 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.24 საწესდებო კაპიტალი.

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით.

2.25 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.26 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შესრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.27 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა, ასევე ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2.28 შემოსავლის აღიარება.

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.29 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.30 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

2.31 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.32 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდენად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

2.33 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს ჯგუფის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.34 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა ჯგუფის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსხვავებულ შეფასებებს თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები 2,521 და 1,593 2018 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის და 2,201 და 1,334 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 7).

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა- ნაგებობები	სამედიცინო, სხვა ტექნიკური დანადგარები, ოფისის მოწყობილობები ი და ავეჯი	სატრანსპორ ტო საშუალებები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	575	12,101	7,988	442	17	21,123
შეძენა	-	22	514	128	51	715
გასვლა	-	-	(4)	(56)	-	(60)
რეკლასი	-	68	-	-	(68)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	12,191	8,498	514	-	21,778
შეძენა	-	6	1,099	87	52	1,244
გასვლა	-	-	(80)	(55)	-	(135)
რეკლასი	-	(2)	-	-	2	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	12,195	9,517	546	54	22,887
ცვეთა:						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	2,227	4,205	244	-	6,676
პერიოდის ცვეთა	-	477	1,042	75	-	1,594
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(4)	(56)	-	(60)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,704	5,243	263	-	8,210
პერიოდის ცვეთა	-	478	985	94	-	1,557
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(72)	(45)	-	(117)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,182	6,156	312	-	9,650
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	575	9,874	3,783	198	17	14,447
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	9,487	3,255	251	-	13,568
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	9,013	3,361	234	54	13,237

ჯგუფის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი აქტივები ჩადებულია უზრუნველყოფაში იპოთეკისა და გირავნობის სახით, სხვა დამატებითი დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10 ში:

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა- ნაგებობები	სამედიცინო, სხვა ტექნიკური დანადგარები, ოფისის მოწყობილობები და ავეჯი	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება:				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	575	9,163	1,192	10,930
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	8,825	757	10,157
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	8,399	417	9,391

4. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლება
ისტორიული ღირებულება	
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	196
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	196
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	196
ცვეთა:	
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	66
პერიოდის ცვეთა	34
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100
პერიოდის ცვეთა	31
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	131
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	130
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	65

5. სხვა აქტივები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	572	842	928
ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის და მშენებლობისათვის გადახდილი ავანსები	33	37	41
წინაწარ გაწეული ხარჯი (გრძელვადიანი)	-	35	77
გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	(22)	(22)
სულ სხვა აქტივები	605	892	1,024

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის მიერ აღებულ საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის ყველა დებიტორული დავალიანება, ნებისმიერი იურიდიული პირის მიმართ, არსებული და სამომავლო დაგირავებულია. დაგირავების ქვეშ მყოფი მოთხოვნა შეადგენს 179, 162, 168 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის შესაბამისად. სესხის სხვა დეტალებისთვის იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
საქონელი	3,563	5,456	3,902
მედიკამენტები და სახარჯი მასალები	920	951	1,039
სხვა მარაგები	84	92	45
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4,567	6,499	4,986

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10,537	10,369	9,820
საექვო ვალების რეზერვი	(2,521)	(2,201)	(1,334)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	8,016	8,168	8,486

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	2018	2017
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი	(608)	-
ბალანსი 2018 წლის 1 იანვრისათვის გადაანაგარიშებული ფასს 9 მიხედვით/ 2017 წლის 1 იანვრისათვის	1,593	1,334
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე პერიოდისთვის	928	867
გამოყენება	-	-
31 დეკემბრის მიხედვით	2,521	2,201

ჯგუფის მიერ აღებული საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის ყველა დებიტორული დავალიანება, ნებისმიერი იურიდიული პირის მიმართ, არსებული და სამომავლო დაგირავებულია. დაგირავების ქვეშ მყოფი მოთხოვნა შეადგენს 4,989, 5,659 და 6,105 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის შესაბამისად. სესხის სხვა დეტალებისთვის იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

8. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
წინასწარგაწეული ხარჯი	302	292	374
გადახდილი ავანსები	340	383	839
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	-	84	-
გადახდილი გადასახადები	-	122	280
სხვა დებიტორული დავალიანება	22	22	16
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	664	903	1,509

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ნაღდი ფული სალაროში	6	1	5
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	4,456	3,799	1,444
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	4,143	2,719	2,472
ფული გზაში	20	6	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,625	6,525	3,921

10. სესხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი საბანკო სესხი ძირი	1,067	2,134	3,201
სხვა გრძელვადიანი სესხი	30	27	25
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი	1,067	1,067	1,067
გადასახდელი პროცენტი	20	31	38
სულ სესხები	2,184	3,259	4,331

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:			
1 წლის განმავლობაში	1,087	1,098	1,105
1-დან 3 წლამდე ვადაში	1,067	2,134	3,201
3 წლის შემდეგ	30	27	25
სულ სესხები	2,184	3,259	4,331

ჯგუფის ყველა სესხი აღებულია ლარში.

ყველა საბანკო სესხი წარმოადგენს ცვალებად საპროცენტო განაკვეთიან სესხს. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ცვალებადი ბანკის მიერ განსაზღვრული დანამატის ჯამით. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი სახით გაანგარიშებული ჯამური საპროცენტო პროცენტის ოდენობა არ შეიძლება იყოს 6 % დაბალი და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 4 % მაღალი. 2018 და 2017 წლის განმავლობაში საბანკო სესხებს დაერიცხა 9 და 8.75 პროცენტის ოდენობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

შვილობილი კომპანიის საბანკო სესხები უზრუნველყოფილია მისი დედა კომპანიის თავდებობით.

სხვა გრძელვადიანი სესხი წარმოადგენს სესხს, რომელიც გაცემულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკოტრებული სადაზღვევო კომპანიისაგან ჯგუფის შვილობილი კომპანიის მიერ მიღებული ზარალის კომპენსაციის მიზნით. ჯგუფის შეფასებით სესხის თანხა 129 გადასახადელი გახდება 2033 წელს. სესხი წარმოადგენს უპროცენტო სესხს. დისკონტირების მიზნით გამოყენებულია 11 პროცენტიანი განაკვეთი.

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის ყველა სესხი აღებულია მასში შემავალი შვილობილ კომპანიის მიერ. შვილობილი კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი აქტივები ჩადებულია უზრუნველყოფაში იპოთეკისა და გირავნობის სახით:

მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა-ნაგებობები	სამედიცინო, სხვა ტექნიკური დანადგარები, ოფისის მოწყობილობები და ავეჯი	სულ	
წმინდა საბალანსო ღირებულება:				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	575	9,163	1,192	10,930
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	8,825	757	10,157
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575	8,399	417	9,391

შვილობილი კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით ყველა მისი დებიტორული დავალიანება ნებისმიერი იურიდიული პირის მიმართ არსებული და სამომავლო დაგირავებულია. უზრუნველყოფაში ჩადებული დებიტორული დავალიანების დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 5 და 7 -ში. გარდა ზემოთ მოცემულისა შვილობილი კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია მისი მისი დედა კომპანიის თავდებობით.

საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის შემავალი შვილობილი კომპანია ექვემდებარება საბანკო სესხების პირობებით განსაზღვრულ შეზღუდვებს: თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით შვილობილი კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულები. შვილობილმა კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური შეზღუდვები	ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები
კაპიტალი	არაუმცირეს 8,000
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან	არაუმცირეს 130 %
საოპერაციო მოგების თანაფარდობა ჯამურ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებთან, გრძელვადიან სესხებზე გადასახდელ ძირითად თანხებთან, კაპიტალურ დაბანდებებთან და ლიზინგის გადასახადებთან	არაუმცირეს 120%

შვილობილი კომპანია შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა შვილობილ კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს/თავდებს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები. იჯარით გაცემისა და/ან გაქირავების შემთხვევაში აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება თუკი იჯარით გაცემისა და ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული იქნება მეიჯარის/გამქირავებლის უპირობო უფლება ორი თვით ადრე მოიჯარისთვის/დამქირავებლისთვის შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები.

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით შვილობილ კომპანიას ქონდა შეუსაბამობა, თუმცა ბანკთან მიღწეულია შეთანხმება და ამასთან დაკავშირებით ბანკი არ განახორციელებს ხელშერკულებით მისთვის მინიჭებულ შესაბამის ნეგატიურ ქმედებებს.

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,566	2,454	2,860
მიღებული ავანსები	1,051	3,335	2,156
გადასახდელი ხელფასები	643	607	650
გადასახდელი გადასახადები	41	-	267
ძირითადი საშუალების შესყიდვასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულება	17	11	5
სხვა კრედიტორული დავალიანება	34	24	16
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,352	6,431	5,954

12. საგარანტიო ანარიცხები

საგარანტიო ანარიცხები შექმნილია გაყიდულ საქონელთან დაკავშირებულ საგარანტიო ვალდებულებებთან დაკავშირებით. ანარიცხის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	2018 წელი	2017 წელი
1 იანვრის მდგომარეობით	57	57
გამოყენება	(49)	(59)
გაზრდა მიმდინარე პერიოდისთვის	49	59
31 დეკემბრის მდგომარეობით	57	57

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2018 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	16,351	-	16,351
სამედიცინო აპარატურის რემონტი	-	750	750
სამედიცინო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	-	20,561	20,561
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან	-	145	145
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	16,351	21,235	37,586
გრძელვადიანი	-	221	221
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში	16,351	21,456	37,807
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	16,351	21,456	37,807

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან 2017 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	15,247	-	15,247
სამედიცინო აპარატურის რემონტი	-	518	518
სამედიცინო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	-	22,441	22,441
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან	-	77	77
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	15,247	22,847	38,094
გრძელვადიანი	-	189	189
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში	15,247	23,036	38,283
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	15,247	23,036	38,283

14. გაყიდვების თვითღირებულება

	2018 წლისათვის	2017 წლისათვის
ჯგუფის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12,600	11,486
ჯგუფის მიერ სამედიცინო მომსახურებაში გამოყენებული მედიკამენტები	5,338	5,790
ხელფასის ხარჯი	7,488	7,492
ცვეთა და ამორტიზაცია	1,341	1,352
სერვისის დროს გამოყენებული საქონელი	132	110
საგარანტიო ანარიცხების ხარჯები	49	59
სხვა ხარჯი	1,101	1,144
სულ გაყიდვების თვითღირებულება	28,049	27,433

15. გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი

	2018 წლისათვის	2017 წლისათვის
კლიენტებისათვის გაწეული ტრენინგების ხარჯები	256	185
ხელფასის ხარჯი გაყიდვები	231	159
სარეკლამო ხარჯი	74	54
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	44	37
იჯარის ხარჯი	12	11
მიწოდების სხვა ხარჯები	10	31
სულ გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯი	627	477

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წლისათვის	2017 წლისათვის
ხელფასის ხარჯი	3,429	3,814
უიმედო ვალების ხარჯი	928	866
მივლინების ხარჯი	312	209
ცვეთა და ამორტიზაცია	247	276
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	167	82
საოფისე ხარჯი	155	167
საგადასახადო ხარჯები	120	128
საწვავის ხარჯი	92	83
უსაფრთხოების ხარჯი	32	37
საბანკო მომსახურება	84	107
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	510	423
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6,076	6,192

17. ნეტო ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2018 წლისათვის	2017 წლისათვის
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	89	191
საპროცენტო შემოსავალი	201	86
საპროცენტო ხარჯი	(303)	(415)
დისკონტირება	87	66
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) (ნეტო)	74	(72)

18. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2018 წლის 31 დეკემბერი	დარიცხვა/ დისკონტირება	ფულის საშუალებების (გადახდა)	2018 წლის 1 იანვარი
გადასახდელი დივიდენდები	-	2,306	(2,340)	34
სესხები	2,164	3	(1,067)	3,228
ჯამი	2,164	2,309	(3,407)	3,262

	2017 წლის 31 დეკემბერი	დარიცხვა/ დისკონტირება	ფულის საშუალებების (გადახდა)	2017 წლის 1 იანვარი
გადასახდელი დივიდენდები	34	1,647	(1,613)	-
სესხები	3,228	2	(1,067)	4,293
ჯამი	3,262	1,649	(2,680)	4,293

19. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღდება ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

20. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
გრძელვადიანი აქტივები			
სხვა აქტივები			
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	572	842	928
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,016	8,168	8,486
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	-	84	-
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები			
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,599	6,518	3,916
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	17,187	15,612	13,330

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსს მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. ჯგუფის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისათვის. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2018 წლის 31 დეკემბრისათვის	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაცი ლება	30-60 დღე ვადაგადაცი ილება	60-90 დღე ვადაგადაცი ილება	90-180 დღე ვადაგადაცი ლება	180 დღეზე მეტი ვადაგადაცი ლება	ჯამი
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	572	-	-	-	-	572
მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორები	615	282	366	6,963	2,311	10,537
საექვო ვალების რეზერვი	(50)	(17)	(19)	(873)	(1,562)	(2,521)
ნეტო სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,137	265	347	6,090	749	8,588

2018 წლის 1 იანვრისათვის ფასს 9 მიხედვით გადაანგარიშებული	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაცი ლება	30-60 დღე ვადაგადაცი ილება	60-90 დღე ვადაგადაცი ილება	90-180 დღე ვადაგადაცი ლება	180 დღეზე მეტი ვადაგადაცი ლება	ჯამი
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	842	-	-	-	-	842
მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორები	1,100	331	31	6,581	2,326	10,369
საექვო ვალების რეზერვი	(43)	(27)	(9)	(368)	(1,146)	(1,593)
ნეტო სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,899	304	22	6,213	1,180	9,618

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავაჭრო დებიტორები ჩამოიწერება ბალანსიდან შესაბამისი რეზერვის შემცირების გზით, როდესაც არ არსებობს ადეკვატური მოლოდინი იმისა რომ მოხდება შესაბამისი თანხების ამოღება. სხვა ფაქტებთან ერთად ამ ფაქტის ერთ-ერთი ინდიკატორებია 180 დღიანი ვადაგადაცილება და დამატებითი გრაფიკის პირობების დარღვევა.

2018 წლის 1 იანვრამდე პოლიტიკა - კონტრაგენტების ინტენსიური საკრედიტო ანალიზის საფუძველზე ფასდებოდა მათგან მისაღების თანხების სარკედიტო ხარისხი. მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. მცირე თანხის დებიტორები ჯგუფდება ერგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურება ფასდება ჯგუფურად.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის ვადაგადაცილება, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. ჯგუფი რეზერვებს აფასებს ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდებოდა თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას ჯგუფის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ფასდება პროცენტულად, რომლის საფუძველზეც შეიქმნება საექვო მოთხოვნისთვის ინდივიდუალური რეზერვი.

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნების რეზერვები კოლექტიურად ფასდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების დაჯგუფებას ჯგუფი განსაზღვრავს პროდუქტის და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2017 წლის 31 დეკემბრი ფასს 9 - ზე გადაანგარიშებამდე	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაც ილება	30-60 დღე ვადაგადაც ილება	60-90 დღე ვადაგადაც ილება	90-180 დღე ვადაგადაც ილება	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილება	ჯამი
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორები	842	-	-	-	-	842
საექვო ვალების რეზერვი	(124)	(16)	(17)	(638)	(1,406)	(2,201)
ნეტო სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,818	315	14	5,943	920	9,010

შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაც ილება	30-60 დღე ვადაგადაც ილება	60-90 დღე ვადაგადაც ილება	90-180 დღე ვადაგადაც ილება	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილება	ჯამი
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	928	-	-	-	-	928
მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორები	944	346	94	6,875	1,561	9,820
საექვო ვალუბის რეზერვი	(102)	(10)	(32)	(280)	(910)	(1,334)
ნეტო სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,770	336	62	6,595	651	9,414

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში
ფინანსური აქტივები			
რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	146	-	426
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	9,734	162	641
ფული და ფულის ექვივალენტები	4,480	1,167	2,978
სულ ფინანსური აქტივები	14,360	1,329	4,045
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	1,196	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმიდნარე ნაწილი და პროცენტები	1,087	-	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,143	1,072	1,351
ძირითადი საშუალების შესყიდვასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ვალდებულება	4	-	13
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,430	1,072	1,364
წმინდა პოზიცია	10,930	257	2,681

**შპს "ივერმედი"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში
ფინანსური აქტივები			
რეალიზაციიდან წარმოშობილი	147	-	695
გრძელვადიანი მოთხოვნები			
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	84	-	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	9,500	267	602
ფული და ფულის ექვივალენტები	3,806	1,099	1,620
სულ ფინანსური აქტივები	13,537	1,366	2,917
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	2,263	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	1,097	-	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,135	736	583
ძირითადი საშუალების შესყიდვასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული	11	-	-
ვალდებულება			
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,506	736	583
წმინდა პოზიცია	9,031	630	2,334

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარი ლარში	ევროში ლარში
ფინანსური აქტივები			
რეალიზაციიდან წარმოშობილი	149	-	779
გრძელვადიანი მოთხოვნები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,864	360	596
ფული და ფულის ექვივალენტები	1,448	1,323	1,150
სულ ფინანსური აქტივები	10,461	1,683	2,525
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	3,331	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	1,105	-	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,189	1,232	439
ძირითადი საშუალების შესყიდვასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული	5	-	-
ვალდებულება			
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,630	1,232	439
წმინდა პოზიცია	4,831	451	2,086

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

31 დეკემბერი 2018 წ.		
	ზეგავლენა, ზეგავლენა საკუთარ	
	მოგება ზარალზე	კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	51	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(51)	-
ევროს გამყარება 20%-ით	536	-
ევროს დასუსტება 20%-ით	(536)	-

31 დეკემბერი 2017 წ.		
	ზეგავლენა, ზეგავლენა საკუთარ	
	მოგება ზარალზე	კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	126	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(126)	-
ევროს გამყარება 20%-ით	467	-
ევროს დასუსტება 20%-ით	(467)	-

1 იანვარი 2017 წ.		
	ზეგავლენა, ზეგავლენა საკუთარ	
	მოგება ზარალზე	კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	90	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(90)	-
ევროს გამყარება 20%-ით	417	-
ევროს დასუსტება 20%-ით	(417)	-

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. ჯგუფის მიერ აღებული სესხები ცვალებად პროცენტთანაა საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ცვალებადი ბანკის მიერ განსაზღვრული დანამატის ჯამით. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი სახით გაანგარიშებული ჯამური საპროცენტო პროცენტის ოდენობა არ შეიძლება იყოს 6 % დაბალი და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს + 4 % მაღალი. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია ჯგუფისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. აღებული სესხების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა გარიგების მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. ჯგუფი გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი შემოსულობებისაგან.

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანა ვე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,301	-	-	-	4,301
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	553	534	-	-	1,087
გრძელვადიანი საბანკო სესხი	-	-	1,067	-	1,067
სხვა გრძელვადიანი სესხი	-	-	-	129	129
სულ მომავალში გადასახდელები	4,854	534	1,067	129	6,584

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანა ვე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,096	-	-	-	3,096
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	563	534	-	-	1,097
გრძელვადიანი საბანკო სესხი	-	-	2,134	-	2,134
სხვა გრძელვადიანი სესხი	-	-	-	129	129
სულ მომავალში გადასახდელები	3,659	534	2,134	129	6,456

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,798	-	-	-	3,798
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი და პროცენტები	571	534	-	-	1,105
გრძელვადიანი საბანკო სესხი	-	-	3,201	-	3,201
სხვა გრძელვადიანი სესხი	-	-	-	129	129
სულ მომავალში გადასახდელები	4,369	534	3,201	129	8,233

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას ჯგუფი უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის , ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ჯგუფის შემავალი შვილობილი კომპანია ექვემდებარება საბანო სესხების პირობებით განსაზღვრულ შეზღუდვებს: შვილობილმა კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური შეზღუდვები	ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები
კაპიტალი	არაუმცირეს 8,000
მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან	არაუმცირეს 130 %
საოპერაციო მოგების თანაფარდობა ჯამურ სესხებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებთან, გრძელვადიან სესხებზე გადასახდელ ძირითად თანხებთან, კაპიტალურ დაბანდებებთან და ლიზინგის გადასახადებთან	არაუმცირეს 120%

შვილობილი კომპანია შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან.

გარდა ფინანსური მოთხოვნებისა შვილობილ კომპანიას ნაკისრი აქვს არაფინანსური საოპერაციო ვალდებულებები, კერძოდ:

- მსესხებელს/თავდებს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან რაიმე სხვა ფორმით სხვას განკარგულებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული ფიქსირებული აქტივები. იჯარით გაცემისა და/ან გაქირავების შემთხვევაში აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება თუკი იჯარით გაცემისა და ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული იქნება მეიჯარის/გამქირავებლის უპირობო უფლება ორი თვით ადრე მოიჯარისთვის/დამქირავებლისთვის შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება.
- მსესხებელს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები.

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით შვილობილ კომპანიას ქონდა შეუსაბამობა, თუმცა ბანკთან მიღწეულია შეთანხმება და ამასთან დაკავშირებით ბანკი არ განახორციელებს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებულ შესაბამის ნეგატიურ ქმედებებს ჯგუფის მიმართ.

შვილობილი კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია მისი დედა კომპანიის თავდებობით.

21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები შეფასებული ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულ მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს რომელთა მიღებაც მოსალოდნელია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

22. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები); რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	
აქტივები	
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,599
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,016
- რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	572
სულ ფინანსური აქტივები	17,187

2018 წლის 1 იანვრამდე ფასს 9 დანერგვამდე - შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული იყო სესხებად და დებიტორული დავალიანებად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		სესხები და დებიტორული დავალიანება
აქტივები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე		6,518
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება		8,168
- დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები		84
- რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები		842
სულ ფინანსური აქტივები		15,612

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	სესხები და დებიტორული დავალიანება
აქტივები	
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	3,916
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	8,486
- რეალიზაციიდან წარმოშობილი გრძელვადიანი მოთხოვნები	928
სულ ფინანსური აქტივები	13,330

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	მაკონტროლებელი დამფუძნებლები	სხვა დამფუძნებლები გარდა დირექტორისა	დირექტორი და ამავე დროს დამფუძნებელი	სხვა დირექტორი გარდა დამფუძნებლისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
გამოცხადებული დივიდენდი	1,383	346	577	-
გადახდილი დივიდენდი	1,414	346	577	-
საპროცენტო შემოსავალი	9	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	17	10	14	31
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	512	141	281	473

შპს“ივერმედი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2017 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	მაკონტროლებელი დამფუძნებლები	სხვა დამფუძნებლები ი გარდა დირექტორისა	დირექტორი და ამავე დროს დამფუძნებელი	სხვა დირექტორი გარდა დამფუძნებლისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
გაცემული სესხი	84	-	-	-
სხვა მოთხოვნები	2	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	34	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	988	62	597	-
გადახდილი დივიდენდი	949	62	597	-
საპროცენტო შემოსავალი	10	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	31	13	17	35
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი	668	243	366	571

2017 წლის 1 იანვრისათვის ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ბალანსები:

	მაკონტროლებელი დამფუძნებლები	სხვა დამფუძნებლები გარდა დირექტორისა	დირექტორი და ამავ დროს დამფუძნებელი	სხვა დირექტორი გარდა დამფუძნებლისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	26	11	14	32

24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 12 ნოემბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2019 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე ივერმედის მიერ განაწილებულია დივიდენდი 1,684 ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „ივერმედი“-ს

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

კომპანია „ივერმედი“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომლის დეტალები მოცემულია ქვემოთ:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების თარიღი	კონტრო ლის მოპოვები ს თარიღი	ფლობა	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაცი -ის ქვეყანა
შპს აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი	10 მარტი 2000 წ.	3 ნოემბერი 2010 წ.	100%	კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების გაწევა.	საქართველო

ქვემოთ წარმოდგენილია ორივე კომპანიის მმართველობითი ანგარიშგებისთვის შესაბამისი ინფორმაცია.

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

კომპანია „ივერმედი“

კომპანია „ივერმედი“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირდა 1995 წლის 1 ნოემბერს, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ: სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-163, საიდენტიფიკაციო კოდი - 211 357 841, საწესდებო კაპიტალით 1,633 ლარი (1,020 დოლარის ექვივალენტი), დავით მეგრელიშვილისა და გიორგი მახვილაძის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით.

სხვადასხვა დროს განხორციელდა ცვლილებები პარტნიორთა შემადგენლობაში, მაგრამ ბოლო დროს 2017 წლის 12 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად შპს „ივერმედი“-ს პარტნიორები არიან :

- | | | |
|-----------------------|-----------------|------|
| 1. ლევან ლაზარაშვილი | პ/ნ 01006000785 | 30% |
| 2. ზაზა ლაზარაშვილი | პ/ნ 01024010113 | 30% |
| 3. რევაზ ჯორბენაძე | პ/ნ 01018003577 | 15% |
| 4. იოსებ ჯორბენაძე | პ/ნ 01017010704 | 15 % |
| 5. დავით მეგრელიშვილი | პ/ნ 01008019371 | 10 % |

კომპანიის დირექტორი დაარსების დღიდან არის დავით მეგრელიშვილი, რომელიც საზოგადოებას წარმოადგენს ერთპიროვნულად, ხოლო გენერალური მენეჯერია ლევან ლაზარაშვილი. კომპანიის მაკონტროლებელ პირებს წარმოადგენენ: ლევან ლაზარაშვილი და ზაზა ლაზარაშვილი.

კომპანია განთავსებულია მისივე საკუთრებაში არსებულ, სამსართულიანი თანამედროვე ტიპის შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი ნოდარ ბოხუას 1 შესახვევი N2.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი სამსახურების სახით:

1. ადმინისტრაცია
2. საფინანსო სამსახური
3. მომხმარებელთან ურთიერთობისა და რეალიზაციის სამსახური
4. გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახური
5. საინჟინრო - ტექნიკური სამსახური
6. საწყობი
7. ლოჯისტიკის სამსახური

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ დარეგისტრირებულ იქნა 2000 წლის 10 მარტს, ქ. თბილისში: სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 2/4-2406, საიდენტიფიკაციო კოდი - 202051876, საწესდებო კაპიტალით 3,567.

2010 წლის 3 ნოემბერს კომპანიის 100%-იანი წილი აუქციონის წესით შეიძინა შპს „ივერმედი“, რომელიც ამჟამად 100%-იანი წილის მფლობელია.

კომპანიის მაკონტროლებელ პირებს წარმოადგენენ: ლევან ლაზარაშვილი (სკ01006000785) 30%-იანი წილით და ზაზა ლაზარაშვილი (სკ01024010113) 30%-იანი წილით.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო,

თავმჯდომარე - ავთანდილ ჯორბენაძე, (2011 წლიდან)

დირექტორატი წარმოდგენილია:

გენერალური დირექტორი - გულნარა ჩაფიძე, (1994 წლიდან)

აღმასრულებელი დირექტორი - რევაზ ჯორბენაძე, (2011 წლიდან)

სამედიცინო დირექტორი - ზაზა ლაზარაშვილი, (2011 წლიდან)

ადმინისტრაციული დირექტორი - იოსებ ჯორბენაძე, (2013 წლიდან)

კომპანია განთავსებულია მისივე საკუთრებაში არსებულ ათსართულიან შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, ნინო ჯავახიშვილის ქ. #1

2. შემოსავლები

კომპანია „ივერმედი“

სამედიცინო აპარატურის, სხვადასხვა სახის სამედიცინო ინვენტარისა და სახარჯი მასალების რეალიზაცია და სერვისი შპს „ივერმედი“-ს შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს. შემოსავლების ოდენობა მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი რეალიზაციიდან 2018 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	20,266	-	20,266
სამედიცინო აპარატურის რემონტი	-	752	752
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	20,266	676	20,942
გრძელვადიანი	-	76	76
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში	20,266	752	21,018
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	20,266	752	21,018

შპს „ივერმედი“-ს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან 2017 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
საქონლის და მომსახურების სახეები			
სამედიცინო აპარატურის გაყიდვა	19,181	-	19,181
სამედიცინო აპარატურის რემონტი	-	530	530
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	19,181	418	19,599
გრძელვადიანი	-	112	112
საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის ვადები			
დროის გარკვეულ მომენტში	19,181	530	19,711
დროთა განმავლობაში	-	-	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	19,181	530	19,711

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. შემოსავლების ოდენობა მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი რეალიზაციიდან 2018 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	მომსახურების გაწევა საქართველო
მომსახურების სახეები	
სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	20,561
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან	145
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	20,561
გრძელვადიანი	145
მომსახურების გაწევის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	20,706
დროთა განმავლობაში	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	20,706

შპს "ივერმედი"-ს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან 2017 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	მომსახურების გაწევა საქართველო
მომსახურების სახეები	
სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	22,441
შემოსავალი სასწავლო პროცესებიდან	77
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	22,441
გრძელვადიანი	77
მომსახურების გაწევის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	22,518
დროთა განმავლობაში	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	22,518

შპს „ივერმედი“-ს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

კომპანია „ივერმედი“

ძირითადი საშუალებების - საწარმოო სიმძლავრეების ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მოწყობილობები	ოფისის მოწყობილობები და ავტო	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,126	475	230	250	2,081
შეძენა	-	14	10	66	90
გასვლა	-	-	(4)	(47)	(51)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,126	489	236	269	2,120
შეძენა	-	31	9	87	127
გასვლა	-	-	(6)	(55)	(61)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,126	520	239	301	2,186
ცვეთა:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	415	361	192	147	1,115
პერიოდის ცვეთა	49	58	12	34	153
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(4)	(47)	(51)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	464	419	200	134	1,217
პერიოდის ცვეთა	48	29	13	48	138
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(5)	(45)	(50)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	512	448	208	137	1,305
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	711	114	38	103	966
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	662	70	36	135	903
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	614	72	31	164	881

შპს „ივერმედი“-ს ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

ძირითადი საშუალებების - საწარმოო სიმძლავრეების ფინანსური დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	მიწის ნაკვეთები	მიწა და შენობა- ნაგებობები	სამედიცინო, სხვა ტექნიკური დანადგარები, ოფისის მოწყობილობები ი და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული (ზოგ შემთხვევაში დასაშვები საწყისი) ღირებულება						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	672	11,983	9,410	192	17	22,274
შეძენა	-	22	640	63	51	776
გასვლა	-	-	(20)	(9)	-	(29)
რეკლასი	-	68	-	-	(68)	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	672	12,073	10,030	246	-	23,021
შეძენა	-	6	1,289	-	52	1,347
გასვლა	-	-	(76)	-	-	(76)
რეკლასი	-	(2)	-	-	2	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	672	12,077	11,243	246	54	24,292
ცვეთა:						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	1,937	4,618	97	-	6,652
პერიოდის ცვეთა	-	452	1,295	42	-	1,789
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	-	(9)	-	(9)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,389	5,913	130	-	8,432
პერიოდის ცვეთა	-	454	1,234	46	-	1,734
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	(68)	-	-	(68)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2,843	7,079	176	-	10,098
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	672	10,046	4,792	95	17	15,622
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	672	9,684	4,117	116	-	14,589
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	672	9,234	4,164	70	54	14,194

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

კომპანია „ივერმედი“

კომპანიის მისია არის თავის მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებული სამედიცინო პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს მედიცინის სფეროში. კომპანია მაღალკვალიფიციური საინჟინრო პერსონალის მეშვეობით ახორციელებს მაღალი ხარისხის სერვისს, რომლის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით პერიოდულად ახდენს საკადრო პერსონალის გადამზადებას უცხოეთში. კომპანიის თანამშრომლები სისტემატიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოფენებზე, აწყობენ პრეზენტაციებს თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

კომპანიის ზოგად მიზნებს, გარდა უახლესი თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების შემოტანისა, წარმოადგენს საფასო პოლიტიკისა და გაყიდვების კონცეფციის ოპტიმიზაცია, ბიზნეს აქტივების სტაბილურობა, მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება და ადგილობრივი საკანონმდებლო ნორმების შესრულება.

კომპანია თავისი საქმიანობის 24 წლიანი გამოცდილებით შესაბამის ბაზარზე ძლიერად არის წარმოდგენილი და მისი ცნობადობაც მაშტაბურია, აქვს კარგი რეპუტაცია და მზარდი განვითარების დინამიკა, ორიენტირებულია მომხმარებელზე. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი, კეთილ-განწყობილი ურთიერთობის დამყარებას. ყოველდღიური ზრუნვის საგანია ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა, თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება.

2010 წელს საკმაოდ სერიოზული ინვესტიცია განახორციელა კომპანიამ და გახდა შპს „აკად. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი,-ს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მფლობელი.

შპს „ივერმედი“, წარმატებით გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყო ზემოთ აღნიშნულ კლინიკაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სერიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სრულფასოვანი კარდიოლოგიური რეაბილიტაციის სამსახურის შექმნა, რაც პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნათელი დადასტურებაა.

კომპანიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო დაწესებულებების არა მარტო სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის საქმეში, არამედ ეხმარება მათ შესაბამისი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში. დაფინანსებულია მრავალი ექიმის ტრენინგები უცხოეთში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით, პერიოდულად ხელფასების გაზრდას, პრემიების გაცემასა და სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე, სწავლის დაფინანსების საკითხებს. უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში.

კომპანია აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი სისტემით. პერიოდულად ახლდება ინვენტარი, 24 საათიანი თანამედროვე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროის შესახებ ზუსტი და ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად დანერგილია თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.

კომპანიის საქმიანობა რაიმე სახის მავნე გავლენას არ ახდენს გარემოზე და გამომდინარე აქედან გარემოს დაცვის კონკრეტული გეგმა შემუშავებული არ არის. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ კომპანია მონაწილეობას იღებს ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ აქციებში და საჭიროების მიხედვით ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერასაც.

2010 წელს კომპანიამ წარმატებით გაიარა აუდიტი საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 – 2008-ის მოთხოვნების მიხედვით და გახდა შესაბამისი სერთიფიკატის მფლობელი.

2016 წლიდან კი შპს „ივერმედი“, ახალი ISO 9001 – 2015-ის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განაგრძობს მუშაობას. კომპანიამ შეიმუშავა, განახორციელა, შეინარჩუნა და მუდმივად აუმჯობესებს ხარისხის მართვის სისტემას საჭირო პროცესებითა და მათი ურთიერთქმედებით ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით შემუშავებულია მეთოდური ინსტრუქციები, საწარმოს ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის, რომელიც შედის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოქმედების სფეროში და რომელიც მოიცავს შესყიდვების, შესყიდული მასალების ტრანსპორტირების, შენახვისა და

მიწოდების, ტექნიკური სერვისის, მომხმარებელზე ორიენტაციის, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის, შიდა აუდიტისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კონკრეტულ სამოქმედო გეგმას. კომპანიას ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას თავის საქმიანობაში.

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

- შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ წარმოადგენს ლიდერ ჰოსპიტალს საქართველოში გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის მიმართულებით.
- ჰოსპიტალში დანერგილია ყველა სახის კარდიოლოგიური და ანგიოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მეთოდები (კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია და ანგიოლოგია, ანგიოქირურგია, კარდიოქირურგია, ელექტროფიზიოლოგია/აბლაცია, სრულყოფილი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები). არსებული სამედიცინო აღჭურვილობა შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებს (სიმენსი, ფილიპსი, დრეგერი, ფრეზენიუსი, და სხვა).
- წლის განმავლობაში ჰოსპიტალი ემსახურება 8,000-მდე სტაციონარულ და 14,000-მდე ამბულატორიულ პაციენტს. კეთდება 600-მდე მაღალტექნოლოგიური ოპერაცია გულზე, სისხლძარღვებზე და 2,500-მდე ინტერვენციული პროცედურა (ანგიოგრაფია, კორონაროგრაფია, ანგიოპლასტიკა კორონარების და ენდოვასკულარული ჩარევები პერიფერიულ სისხლძარღვებზე). 1,500-მდე პაციენტს უტარდება არითმოლოგიური პროცედურები.
- საქართველოში მხოლოდ ჩვენს ჰოსპიტალში არის გულ-სისხლძარღვთა კათეტერიზაციის 2 ლაბორატორია და ორი კარდიოქირურგიული საოპერაციო და ბრიგადა, რაც საშუალებას გვაძლევს 24/7 გვექონდეს პაციენტების მიღება და ეფექტური მკურნალობა.
- ჰოსპიტალი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარდიოლოგიური დეპარტამენტის ბაზა, სამედიცინო უნივერსიტეტის კარდიოქირურგიის პოსტდოქტორული განათლების (რეზიდენტურის) ბაზა და ასევე გააჩნია კარდიოლოგიის პოსტდოქტორული სწავლების (რეზიდენტურა) აკრედიტაცია.
- ძირითადი დამფინანსებლები არიან:
 1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს.
 2. კერძო სადაზღვევო კომპანიები
 3. საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
 4. სხვადასხვა სამთავრობო უწყებები
 5. უცხოური და ადგილობრივი სამეცნიერო კომპანიები

2011 წლამდე 700,000 მოქალაქე სარგებლობდა ინდივიდუალური ან კორპორატიული დაზღვევით და ან სახელმწიფო პროგრამებით ფინანსდებოდა. 2011–2012 წლებში საქართველოში ამოქმედდა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა სხვადასხვა კატეგორიის 600,000 მოქალაქისთვის, რის შემდეგაც ჰოსპიტალში ბრუნვა და პაციენტების მომართვიანობა გაიზარდა 25-30%-ით. ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ დამატებითი ინვესტიციის ჩადება არსებულ შენობაში, რათა გაგვეზარდა საწოლთა ფონდი, განგვეახლებინა და შეგვევსო აღჭურვილობის პარკი. 2013 წელს ამოქმედდა საყოველთაო ჯან. დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80%-ს ერთი წლის განმავლობაში გამოყოფილი აქვს 15,000 ლარიანი ლიმიტი სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისათვის.

2019-2020 წლებში დაგეგმილია დამატებითი, თანამედროვე საოპერაციო ბლოკის გამართვა და მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური აპარატურის დამატება, რათა ნებისმიერმა პაციენტმა ადგილზე შეძლოს თანამედროვე სამედიცინო სტანდარტებით დიაგნოსტიკის და მკურნალობის მთელი სპექტრით სარგებლობა, რისთვისაც ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა არქიტექტორებთან და კონსტრუქტორებთან.

კომპანია, საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო მოთხოვნების საფუძველზე უზრუნველყოფს ნარჩენების უტილიზაციას, რათა პრაქტიკულად გამოირიცხოს გარემოზე და მოსახლეობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედება.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხარისხის კონტროლს, რომელსაც სპეციალური სამსახური კურიერებს. შექმნილია ხარისხის კონტროლის კომისია, რომელიც დადგენილი პერიოდულობით იკრიბება და განიხილავს მიმდინარე პროცესებს.

2015 წელს, თითქმის 1 წლიანი შემოწმების შემდეგ კომპანიამ მიიღო გერმანული ხარისხის შემფასებელი კომპანიის “KTQ“-ს სერტიფიკატი, რომელსაც სერტიფიცირების გავლა გერმანიაშიც კი მხოლოდ კლინიკების 40%-მა შეძლო. აღნიშნული სერტიფიცირება მოიცავს როგორც კომპანიაში მიმდინარე როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პროცესების შესაბამისობის დადასტურებას გერმანულ სტანდარტებთან.

კომპანიაში არის ეთიკის კომისია, სამედიცინო საბჭო, წამლის რაციონალური გამოყენების კომისია.

კომპანიას ახალი საქმიანობის დაწყების გეგმები არ აქვს და გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას არსებული საქმიანობის ფარგლებში.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

კომპანია „ივერმედი“

კომპანიაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი.

კომპანია „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“

კომპანიაში დასაქმებულია 426 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა კომპანიაში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია ივერმედს და კომპანია აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20 პუნქტში.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიებს 2017 და 2018 წლების მანძილზე არც შეუძენია და არც გაუსხვისებია რაიმე სახის აქციები.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიებს რაიმე სახის სამეცნიერო კვლევები ნაწარმოები არ აქვს.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიების აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ორივე კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანია „ივერმედი“-ს დირექტორის მიერ, 2019 წლის 12 ნოემბერს.

დავით მეგრელიშვილი, დირექტორი

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge